ხელშეკრულება №45
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი 03 აპრილი 2018 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ (ს/კ417874973) (შემდგომში –„შემსყიდველი“),მისი დირექტორის გია ისიანის სახით და მეორეს მხრივ ი.მ ხვიჩა მამასახლისის (ს.კ 59001024583) სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ -ს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ძრავის ზეთის (GPV09211100) და ზეთის ფილტრის (GPV42913300) გამარტივებული შესყიდვა მოთხოვნის შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1.შესყიდვის ობიექტია: ქ.გორში თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე არსებული SDMO ფირმის V630C2 ტიპის 630KVA (504KW) სიმძლავრის დიზელ გენერატორის ძრავის ზეთი, ზეთის ფილტრები და ასევე მინდვრის სათიბი მანქანისათვის ძრავის ზეთი.

#	საქონლის დასახელება	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთ.ფასი	საქონლის ფასი	CPV კოდი
1	ზეთი SEMT 1040 57	ცალი	1	570.00	570.00	09211100
2	ფილტრი SK807	ცალი	1	25.00	25.00	42913300
3	ზეთი 2 T	ლიტრი	5	7.00	35.00	09211100
4	ზეთი TNK		25	6.00	150.00	09211100
5	ფილტრი SK815	ცალი	2	25.00	50.00	42913300
სულ					830.00	

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 830 (რვაასოცდაათი) ლარი. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადებს და სხვა თანმდევ ხარჯებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები,ადგილი

4.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 10 აპრილის ჩათვლით.

4.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გორი კახნიაშვილის 5.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციი (სასაქონლო ზედნადები ან ანგარიშფაქტურა) წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

6.3. ანაზღაურების ადგილია ქ.გორი გურამიშვილის ქ.5

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
8.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;
8.3.ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულე.ბლობით;
8.4ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5 ხელშეკრულებით გათვალ;ისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02 %-ს ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2018 წლის 30 მაისის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის,გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით,
როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებიდ გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოითხოვნებთან.
13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი"- ს ინფრასტრუქტურის მენეჯერი თენგიზ ბურჯანაძე.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი”	ი.მ ხვიჩა მამასახლისი
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5	მის. გორი კახნიაშვილის 7.
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი-სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები სს „თიბისი ბანკი“
ბ/კოდი TRESGE22	ბ/კ TBCBGE22
ს/კ 417874973	ანგ.GE51TB7467336010100011
	ს/კ 59001024583
დირექტორი	მმართველი
	ი.მ ხვიჩა მამასახლისი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.გორი 03 აპრილი 2018 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი"-ს მიერ 2018 წლის 03 აპრილს დადებული N45 ხელშეკრულება ინდ.მეწარმე ხვიჩა მამასახლისთან (ს/კ 59001024583) გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი გია ისიანი

ინფრასტრუქტურის მენეჯერი თენგიზ ბურჯანაძე

შესყიდვების მენეჯერი სვეტლანა ზაუტაშვილი